ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 14 სეკდემბერი, 1904 წ.        1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904        სამშაბათი, 14 სეკდემბერი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 212 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 212

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 16-ს სეკდემბ.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოების, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 „ 25 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

### ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---

## ახალი საყმაწვილო ჟურნალი

## „ნაკადული“

სურათებით.

გამოიცემა მცირეწლოვან და მოზრდილ ყრმათათვის თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანვარიშეა 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

### პროგრამმა:

1, მოთხრობა და ლექსები. 2, ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფია, მოგზაურობა. 3, აღმოჩენა-მოგონებათა ქრონიკა. 5, **ნარევი:** მოსწრებული სიტყვა,-პასუხი და ანეგდოტები, 2, სათამაშონი, გასართობი, რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხვ. 6, პედაგოგიური წერილები, 7, მკითხველთა წერილები, 8, ფოსტის ყუთი და 9, განცხადებანი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალკ-ცალკე 3 მან.

გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზედ № 5, სახლი პოპოვისა, სადგური მარიმ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება:** რედაქციაში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ. Редакція „журн. НАКАДУЛИ“.

---

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . 15 კაპ.

რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . 20 ,,

რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . 10 ,,

სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . 10 ,,

ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . 7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—33).

მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: книжная торговля Іос. Зах Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

---

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

---

## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

---

მისაღები ეგზამენები

## ტფილისი საგაღოსნო სკოლაში

დანიშნულია 25—29 ენკენისთვემდე, (2—2).

---

**კბილის ექიმი**

## ალ. სოლოლაშვილი გადავიდა

გოლოვინის პროსპექტზედ, მდივანის სახლში, № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე. ავადმყოფებს მიიღებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7-მდე. კვირაობით 9—10 საათამდე. (5—5).

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აზეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელბი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უქეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардяна*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ღორისმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, 9½—10½ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. 11½—12½ საათ.

**მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საზებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა 12½—1½ საათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მოჩინი.** ქალისა, საზებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**საღამოთი:**

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროვატები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ორს კრაოტით.

ტელეფონი № 274

(ც.)

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ოფიციალურ ანგარიშებითა და კორესპონდენტების ცნობებით შეგვიძლიან დაახლოვებით გამოვარკვიოთ, რა ძალა აქვთ იაპონელებს მანჯურიაში და რის იმედი უნდა ჰქონდეთ.

ეხლა ნამდვილად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ პორტ-არტურთან იაპონელებს სამი დივიზია ჰყავთ (1, 9 და 11) და არტილერიის პირველი განცალკევებული ბრიგადა.

ოკუს ლაშქარში არის ოთხი დივიზია (3, 4, 6 და 14) და კავალერიის მეორე განცალკევებული ბრიგადა.

ნოძუს ლაშქარში არის ორი დივიზია (5 და 10).

კუროკის ლაშქარში არის ერთი გვარდიისა და ორი ქვეითის ჯარის დივიზია და პირველი კავალერიის ბრიგადა.

ოკუს ლაშქარში რომ მეთოთხმეტე დივიზიაც არის (ფორმოზის კუნძულისა უნდა იყოს), ეს იმას ამტკიცებს, რომ იაპონელებს მეცამეტე დივიზია წინადვე ჰყოლიათ განწყობილი, ხოლო ჯერ არა სჩანს, სად არის ეს მეცამეტე დივიზია, მეშვიდე და მერვე დივიზიები ანუ არტილერიის მეორე ბრიგადა. საფიქრებელია, რომ მერვე და მეცამეტე დივიზიები კუროკის ლაშქარია, ხოლო მეშვიდე დივიზია და არტილერიის მეორე განცალკევებული ბრიგადა—ნოძუს ლაშქარი.

სამსავე ლაშქართან სათადარიგო ჯარის კაცთაგან შედგენილი დივიზიები არის.

რაც შეეხება იმ სადარაჯო ჯარს, რომელიც შეკრებილია თვით იაპონიის სამფლობელოს დასაცველად, ამ ჯარიდგან კორესპონდენტების ცნობებით, შესაძლოა, ორი დივიზია ოკუს ლაშქარში იყოს და ერთიც კუროკის ლაშქარში. ამას გარდა; ამავე ჯარის თითო დივიზია ყოველ ლაშქარს ზურგს უკან უნდა ჰყავდეს დაყენებული.

ამ ანგარიშით, იაპონელებს ამ ჟამად ეყოლებათ მანჯურიაში:

| ლაშქარი. | სარდლები. | დივიზიები. | | | | მეომართა რიცხვი. | ზარბაზნები. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მთავარ-სარდალი მარშალი ოიამა. | მუდმივი. | სათადარიგო. | სადარაჯო. | სულ. | | |
| I. | გენერალი კუროკი . | 5 | 5 | 2 | 12 | 151,000 | 372 |
| II. | მარშალი ოკუ . | 4 | 3 | 3 | 10 | 125,000 | 352 |
| III. | მარშალი ნოძუ . | 3 | 3 | 1 | 7 | 89,000 | 320 |
| | სულ . | 12 | 11 | 6 | 29 | 375,000 | 1044 |

ამ სამს ლაშქარს გარდა, დაბეჯითებით ამბობენ, ვითომც იაპონელებს მეოთხე ლაშქარიც მოეგროვებინოთ, რომელმაც რუსის მარცხენა ფრთას უნდა მოუაროს და მუკდენს აღმოსავლეთიდგან დაეცეს. ამ ლაშქარში ვითომც ექვსი სადარაჯო ჯარის დივიზია იქმნება, თავის არტილერიითა და კავალერიით, ე. ი. მთელი ლაშქარი, 65,000 მეომრისაგან შემდგარი, 234 ზარბაზნით.

ამ გვარად მარშალ ოიამას ეყოლება მანჯურიაში 430,000 მეომარი 1,288 ზარბაზნით.

ამ ძალას გენერალი კუროპატკინი მხოლოდ 330,000 მეომარს წინააღუდგენს როგორც სიებში არის აღრიცხული.

მართალია, იაპონელების ლაშქრების ერთი მეოთხედი, სადარაჯო დივიზიებისაგან შემდგარი, ნაკლებად გაწვრთნილი და უფრო ცუდად შეიარაღებული, ჰგონიათ, მაგრამ რაზმებს მაგაზინის სისტემის თოფები აქვთ და ჯარის კაცებიც შედარებით ახალგაზდები და ჯან-ღონით სავსენი არიან (27—32 წლისა). ისიც რომ გავიხსენოთ, რომ სწორედ ეს ჯარის კაცები ომობდნენ ჩინელებთან 1894—1895 წ., მაშინ არ შეიძლება არ დავეთანხმდეთ, რომ ეს სადარაჯო ჯარიც კარგა გაწვრთნილი და გამოცდილი უნდა იყოს.

რადგან იაპონელებს ამ ჟამად მეტი ჰყავთ მანჯურიაში ვიდრე რუსებს, შეგვიძლიან ვიფიქროთ, როგორ უნდა მოიქცეს მანჯურიის ლაშქრის სარდალი გენერალი კუროპატკინი: ამ შემოდგომაზედაც რუსის ჯარი უკან-უკან დაიწევს. აქამომდე ჩვენი სარდალი ბრძოლით აფერხებდა იაპონელებს. ასევე მოიქცევა შემდეგშიაც, თუ არა—ამის გამოცნობა არ შეგვიძლია. (რ. ვ.).

—

მუკდენიდგან პარიჟის გაზეთებს სწერდნენ, გენერალ კუროპატკინის თავ მჯდომარეობით რჩევა ჰქონდათ მანჯურიის ლაშქრის გენერლებს, რომელთაც შორის სამნი (მეიენდორფი, ჩეკმარიოვი და სობოლევი) ამტკიცებდნენ, საჭიროა კარგად გავამაგროთ მდინარე ხუნ-ხეს ხეობაო. «მანჯურიის თერმოპილში», როგორც ტელინს უწოდებენ, ახალ სისტემის სიმაგრეებს აკეთებენ, რომ, ვინიცობაა იაპონელებმა მდინარე ლიაოიხედგან მოუარეს, რუსის ჯარს უზიანოდ შეეძლო უკან დაწევა.

ინჟენერ ველიჩკოს, რომელმაც სიმაგრეები გააკეთა ლიაოიანთან, იმედი არა აქვს ტელინის სიმაგრეებისა და სანგარებისა, მაგრამ ისეთი საუცხოვო ძღვენი-კი დაუმზადებია იაპონელებისთვის, რომ გენერალ კუროპატკინს ძალიან მოსწონებია.

იმავე გაზეთებს ატყობინებენ, ვითომც რუსის ჯარში აფიცრრების რიცხვი ისე შემცირდა ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ, რომ ეხლა აფიცრრობას დაბალ ჯარის კაცებს აძლევენო, ვინც კი შესაფერი ნიჭი გამოიჩინაო. (ნოვ.).

—

ბალტიის ესკადრის შესახებ ევროპიელი გაზეთები სულ სხვა და სხვა ცნობებს იუწყებიან. ზოგი სწერს, ესკადრა ოკეანეზე გავიდაო, ზოგი კი ამბობს, რუსის საზღვარს არ გასცდენია, ლიბავასა და რეველს შეჩერდა სავარჯიშოთო.

«ბერლ. ტაგ.» ამბობს, ესკადრის შეგვიანების მიზეზი ის არას, რომ ერთი თუ ორი ახალი ჯავშნიანი გემი ჯერ არ შეუმზადებიათ წასასვლელად და ესკადრა იმას უცდისო. სჯობს სულ ახალი ერთგვარის სისტემის გემები გაგზავნონ, ვიდრე ბევრი და ძველი, ნელა მოსიარულე გემებიო. ახალმა გემებმა ერთი თვეც რომ შეაგვიანონ ადგილობრივ, მაინც ძველ გემებზე ადრე მივლენ შორეულ-აღმოსავლეთსო.

«ფურანქფ ცზიტ»-ს დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდგან, ამ კვირას ოდესისა და ნიკოლაევის ნავთსადგურებიდგან შვიდი დიდი სავაჭრო გემი გამოივლის დარდანელზე. ეს გემები თავისუფალ ფლოტისა და შავის ზღვის სანავოსნო საზოგადოებათ ეკუთვნისო. სავაჭრო გემები 60,000 ტონს (3,7000,000 ფუთი) ქვანახშირს წაიღებს ბალტიის ესკადრისათვის, რომელიც სუეცის არხზე კი არ გაივლისო, არამედ კეთილ-საიმედო კონცხის გარშემო.

რომელ ნავსადგურში უნდა იქონიოს ბინა ბალტიის ფლოტმა, შორეულ აღმოსავლეთის ზღვებზე რომ მივა? ამის გამო «ექოდე პარა» ამბობს, უსაბუთოა ის აზრი, ვითომც ბალტიის ფლოტი ბინას ვერ იშოვნის შორეულ-აღმოსავლეთის ზღვებზე, რადგან პორტ-არტური ალებული დახვდება და ვლადივასტოკის ნავთსადგურს ძალე მოჰყინავსო.

რუსის ფლოტი თვითონ გაიჩენს ბინას. შესაძლოა, ეს ბინა დროებითი იყოს და ისე მოწყობილი არ იქნება, როგორც შეეფერება, მაგრამ შესაკეთებლადა და ქვა-ნახშირის საშოვნელად მაინც გამოდგება. მალაის არქიპელაგისა, მიკრონეზიაში და სხვაგან სადმე შეიცდის, ძალღონეს მოიკრებს და დროს შეურჩევს, როდესაც მოქმედება შეეძლება. ვერც ერთ ნავთსადგურში წინ ვერავინ დაუდგება ამისთანა ძალას, რომ განდევნოს. როგორც 1894 წელს, ისე ამ ომის დროს, იაპონელები ხომ არავის დაეკითხნენ და ჩინეთისა თუ კორეის ნავთსადგურები დაიჭირეს. მაშ რუსეთი ვიღას მოერიდება, როდესაც მისი ძლიერი ფლოტი შორეულ აღმოსავლეთში მივაო.

(ნოვ.).

—

# ტფილისი

—

ბაქოდგან გვატყობინებენ, რომ იქ მოუკლავთ ამ დღეებში რკინის გზის ეკლესიის მღვდელი მამა სერგეი დავითიშვილი. მკვლელი ეკკლესიის მსახური ყოფილა, რუსი. მიზეზი მკვლელობისა ჯერ არ იციან.

*** კვირას, 19 სეკდემბერს, როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, კრებაა დანიშნული ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა. გამგეობამ უკვე შეადგინა ანგარიში წარსულის წლის მოქმედებისა, რომელიც უკვე დაიბეჭდა. შარშანდელ სეზონის გათავების შემდეგ საზოგადოებასა და ჟურნალ-გაზეთებშიაც ხმა დაჰყარეს, ვითომ დრამატიულმა საზოგადოებამ დასის შენახვით 3,000 მანეთამდე იზარალა. როგორც ჩვენ ნამდვილად გავიგეთ, ეს ხმა ტყუილი გამოდგა. ნამდვილად საზოგადოების გმგეობას სულ რაღაც 200 მანეთამდე, თუ უფრო ნაკლებიც, უზარალნია.

*** ტფილისის «საარტისტო საზოგადოებაში» ბ-ნ მეიერხოლდის დრამატიული დასი სეზონს დაიწყებს 20 სეკდემბერს.

*** შაბათს, 11 სეკდემბერს, საგანგებო კომისიას, საგუბერნიო სამმართველოს ტეხნიკოსისა, ცეცხლის მქრობელ რაზმის ბრანდენმეისტერისა და ხუროთმოძღვრებისაგან შემდგარმა, ტფილ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დ. ზ. მელიქიშვილისა და ტფილ. პოლიცმეისტერის ბ-ნ კოვალიოვის თანადასწრებით, დაათვალიერა ხელ-ახლა ქართული თეატრი და საჭიროდ სცნო მისი დაუყოვნებლივ შეკეთება.

*** კვირას, 10 სექტემბერს, დილის 10 საათზედ, ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის კანტორაში, რომელიც ახლად შენდება ვაკეში, კრება ჰქონდა საბჭოსმიერ არჩეულს კომისიასა და იმათ, რომელთაც ეინტერესებათ ქალაქ-გარედ მდებარე ადგილის «ვაკე»-ს ქალაქთან შემოერთების საქმე. კრებას დაესწრო ტფ. მაზრის უფროსი თავ, ლ. ჯანდიერი, კადეტთა კორპუსის დირექტორი გენერალ-მაიორი ი. გ. სიმონოვი, ტფ. პოლიცმეისტერი გ. ს. კოვალიოვი, წარმომადგენელნი: სათავად-აზნაურო სკოლისა ბ-ნი ნიკ. ზებ. ცხვედაძე და სასულიერო სემინარიისა და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი. მსჯელობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ბ-ნთ ლ. ჯანდიერმა და ივ. სპ. ჯაბადარმა, რომელთაც გამოსთქვეს სურვილი «ვაკის» ქალაქთან შემოერთებისა. კომისიის თავმჯდომარის თავ. გ. მ. თუმანოვის წინადადების თანახმად, არჩეულ ამ საქმეში დაინტერესებულ კაცთაგან კომისია, ხუთის კაცისაგან შემდგარი. ამ კომისიაში არჩეულ იქმნენ: ვ ს. ბაისოღოლოვი, ივ. სპ. ჯაბადარი, თავ. ვ. გ. ბებუთოვი, გ: ი. კურცი და თავ მ. ი. შენევალი.

*** კვირას, 12 სეკდემბეს, კალოუბნის ეკლესიაში პანაშვიდი გარდაიხადეს ტფ. დედათა I-ლ გიმნაზიის მე-VII კლასის მოწაფე ქალის მარიამ ივანეს ასულის გძელიძის სულის მოსახსენებლად. განსვენებული სიცოცხლით სავსე და ნიჭიერი ახალგაზდა იმსხვერპლა კაცობრიობის ულმობელმა სენმა—ჭლექმა. განსვენებულს სახალხო თეატრის სცენაზედ არა ერთხელ უთამაშნია და უებველი ნიჭი გამოუჩენია; მას განზრახული ჰქონდა ნიჭის განსავითარებლად საზღვარ-გარედ უმაღლეს სასწავლებელში განეგრძო სწავლა და იქიდგან დაბრუნების შემდეგ სამშობლო ხელოვნებისათვის შეეწირა თვისი ნიჭი, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა. პანაშვიდს დაესწრნენ ამხანაგები, გიმნაზიის მოსწავლე ქალები, ნათესავები და ნაცნობნი. შაბათს, 11 სეკდემბერს განსვენებულის გვამი მიწას მიაბარეს დუშეთის მაზრის სოფ. მუხრანში.

*** შაბათს, 11 სეკდემბერს, სახელმწ-ფო კონტროლერი ტფილისიდგან ბათუმს გაემგზავრა იქაურ საკანტროლო დაწესებულებათა სარევიზიოდ. ბ-ნ ლობკოს თან ახლავს თავისი მდივანი სტ. სოვ. ბ-ნი ისტომინი.

*** ტფილისის პოლიციის მოხელეთ განუმარტეს, რომ ამ წლის 11 აგვისტოს გამოცემულ უმაღლეს მანიფესტის ძალით, არ უნდა გარდაჰხდეთ ის ჯარიმა, რომელიც დადებული ჰქონდათ სასამართლოებში გამოუცხადებლობისა გამო და რომელიც სატუსაღოთა თანხის სასარგებლოდ იკრიბებოდა.

*** 10 აგვისტის ტფილისის გრენადერთა პოლკიდგან შორეულ აღმოსავლეთის მომქმედ ჯარში, სხვათა შორის, გაემგზავრა პოდპორუჩიკი მდივანი.

—

# საქართველოს ამბები

—

სიღნაღის მაზრის სოფ. ნოვომიხაილოვკადგან გვატყობინებენ, რომ იქ ბავშვებს შორის ყვავილი მძვინვარებს.

ქ. ფოთიდგან გვწერენ: «6 სეკდემბერს, საღამოს 10 საათზედ, თავს დაესხა ბერდანის თოფებით შეიარაღებული 5 ბოროტ განმზრახველი საყასბო დუქანში ყასაბს იოსებ ოდიშარიას. წაიღეს 400 მანეთამდე. ბოროტგანმზრახველთ ისარგებლეს შემდეგის შემთხვევით: ვიღასაც რევოლვერი გაესროლა ოდიშარიას საყასბოდან რამდენსამე მანძილზედ, რის გამოც პოლიციელები და ახლო-მახლო მედუქნეებიც იქ მიცვივნულიყვნენ, ხოლო ამ დროს ბოროტ-განმზრახველნი ოდიშარიას არხეინად სძარცვავდნენ: ორი კარებში გაჩერებულიყო, სამი შიგ დუქანში შესულიყო და მოეთხოვათ ფულის კასის გაღება. ი. ოდიშარია აც წინააღმდეგობა ვერ გაებედნა, რადგანაც მარტო ყოფილიყო. ბოროტ-განმზრახველთა კვალს ჯერ ჯერობით ვერ მიაგნეს».

—

**ს. ფლავი** (გორის მაზრა). წელს სწორეთ კალოობის დროს გვეწვია გამმიჯნელი კომისია. თუმცა საქმეზედ ბევრი მოგვაცდინა, მაგრამ ეს კომისია დიდი ხნის სანატრელი და სასურველი იყო: გამორკვეულიყო, ვის რა ეკუთვნის. აქამდისინ დიდი დავი-დარაბა იყო მამულების თაობაზედ, ეხლა ერთბაშათ აირივ დაირია საქმე, შენ-ჩემობა გაჩეფდა. მის ხის მისხებმა აიდგეს ფეხი სხვა სოფლებიდგან, დაობენ მონაწილეობაზედ ზოგი დედეულიდგან, ზოგიც მამეულიდგან. აქაურმა გლეხებმა შეჰკრეს პირობა, ამოირჩიეს თავიანთ-მხრივ ორი წარმომადგენელი და სადაც ფეხს დაადგავს მიწის მზომელი, ყველგან საეკლესიო-მამულათ აცხადებენ. რადგან გამმიჯნელი რუსია და ქართული სულ არ ეყურება ამისათვის წარმომადგენლები ცდილობენ კარგათ ჩააგონონ მას, კარგათ გაუთქვიფონ თავში—უყვირიან «ცერკოვიაო» (ვითომ церковное имѣніе) მთელი სოფელი სულ ამას გაიძახის ამ ჟამად. ამაზედ თავიანთებური ლექსიც გამოსთქვეს. მე მხოლოდ შემდეგი დავიხსომე:

თავადები დაგვეხვივნენ,
იძახიან: «სულ ჩვენია»,
აზნაურებს წილს ართმევენ,
—წინაპართ უძალადნიათ,
ჩვენ-კი ადარა გვკითხავენ,
ვისთვის გვიწვავ-გვიდაგნია!
მთავარ-ანგელოზს მივანდოთ.
იმან იცის, ვის კუთვნია.
სანთელი და ზედაშენი
ვისთვისაც ჩვენ გვიზიდნია.
აბა, ძმებო, ერთხმადა ვსთქვათ:
ცერკოვია, ცერკოვია!!!

მთავრობი! წარმომადგენელი აგენტიც, რაც შეუძლიან, აცხადებს დავასა. გლეხები თავიანთ უცოდინარობით ნასყიდ მამულს საეკლესიოთ აცხადებენ. აქ, რასაკვირველია, მებატონეთ ისარგებლეს და „ნადელზე“ დავა გამოაცხადეს—ჩვენიაო. როცა გლეხები ამობდნენ, ჩვენც საეკლესიონი ვართ და მამულიც იმისი გვიჭირავსო, მაშინ მებატონეებმა ამოიღეს «უსტავნი გრამოტები» გასამტყუნებლად. გლეხებმა უპასუხეს: გქონდათ დროვო, როცა ჩვენც გვიტაცებდით და საეკლესიო მამულიც მიიმძლავრეთო და, როგორც მოტაცებული, წართმეული, ისევ მთავარ ანგელოზს უნდა დაუბრუნდესო და ბევრი ამისთანეები. ამნაირ აწეწ-დაწეწით რა გამოირკვევა, ვინ დარჩება მართალი ან მტყუანი, რა მოგახსენოთ, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ გლეხმა იგრძნო თავისი უნიადაგობა, უმამულობა, მუდამ სხვის ხელთ შემაყურებლობა და ამნაირის ქცევით ვითომ სურს გაიკვლიოს გზა და კვალი, როგორმე გახდეს ღირსი თავის ოფლით ნაწარმოები თვითონვე შეირგოს, რაიც ფრიად საყურადღებოა.

ა. პ.

—

## ჟურნალ «მოგზაურის» პედაგოგიური ნაწილი.

(შემდეგი *)

ზეპირად სწავლებას ითხოვს თვით სასწავლო საგნის ბუნებაც. მაგ. გამრავლების ტაბულის ზეპირ ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ანგარიშის შესწავლაში. რაც უნდა თვალსაჩინოდ ასწავლოთ მოწაფეს გამრავლების ტაბულა, გაბედვით და მტკიცედ ისარგებლებს და გამოიყენებს ამ ცოდნას მხოლოდ ის მოწაფე, რომელსაც ზეპირად აქვს შესწავლილი. ბევრს სხვა საგნებშიაც ასეა, მაგ. ისტორიაში, გეოგრაფიაში, ბუნების მეტყველებაში და სხვებში. არის ბევრი ისეთი მოკლედ და აზრიანად გამოხატული ადგილები, რომლის ზეპირად შესწავლა აუცილებელია, რასაკვირველია, ჯეროვანის სიტყვიერად ახსნა განმარტების შემდეგ. უამისოდ კი მოწაფეებს შრომა, უნაყოფოდ და ტყუილად თუ არა, მცირე სარგებლით ჩაუვლის. ყოველ ადამიანის კილო წერისა და ლაპარაკისა იცვლება იმისდამიხედვით, თუ რას კითხულობს. ამ შემთხვევაში ყველა და უფრო მოწაფეები ჰბაძავენ, რომელსამე საყვარელ ნიჭიერ მწერალს, უფრო იმათ, რომელნიც აარსებენ მთელს სკოლას. დღეს ჩვენში ხშირად გაიგონებთ, ეს და ეს პატარა პოეტი აკაკის სკოლისაო, რადგანაც ენაც, კილოც წერისა და სხვაც მისგან შეუთვისებიაო; ამ და ამ მწერალს ილიასებრივი ღრმა და ფილოსოფიური ენა აქვსო და სხვ. მშობლიურს მწერლობაში და უცხოშიაც საუკეთესო სამწერლო და სამეტყველო კილოს შესამუშავებლად ერთად-ერთ საშუალებად აღიარებულია ცნობილ მწერალთა სამაგალითო სტატიების კითხვა, ზეპირად შესწავლა სამაგალითო წინადადებათა, აწერილობათა, მოთხრობებისა და სხ. სწორედ ასე იქცეოდნენ ძველ დროში თვითონ სამაგალითო მწერლებიც, ის სასწავლებელი, რომელიც სრულიად უარ-ჰყოფს ზეპირ სწავლებას და მიჰყვება «ერთის სასწავლებლის უფროსის» მაგალითს, რომელიც დიდი წინააღმდეგი ყოფილა სასწავლო წიგნებისა და რომელსაც იხსენიებს «მოგზაურის» რედაქცია 1902 წლის «გამოსადეგ ცნობის» მეორე წიგნში, ვერასოდეს სავსებით თავისს სურვილს ვერ მიაღწევს, რადგანაც ერთის მხრივ ვერ სძლევს ყველა სასწავლო მასალას, როგორც რიგია, და მეორედ, რადგანაც სასწავლებელმა უნდა მისცეს მოწაფეს ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცოდნა, რომელიც მოწაფეს მტკიცედ უნდა ჰქონდეს შეთვისებული და არ უნდა ივიწყებდეს, ამიტომაც ზოგიერთ შემთხვევაში ზეპირად ცოდნაც სასწავლო მასალისა აუცილებელი ხდება. ამასთან ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ საზოგადოდ სკოლაში ბევრია ისეთი მოწაფე, რომილსაც შეგნებული ზეპირობა უფრო ეხერხებათ, ვიდრე მსჯელობა, ამიტომ ისინი იმისთანა სკოლიდან, რომლიდანაც სრულიად განდევნილი იქნება ზეპირობა, ბევრს სწავლას ცხოვრებაში ვერ გამოიტანენ და რასაც გამოიტანენ, ისიც ზედაპირული იქნება და არა მტკიცე.

სულ სხვა საკითხია, რა გვარი მასალა, რამდენი და როგორ უნდა ისწავლებოდეს ზეპირად. ყოველ შემთხვევაში უმთავრესი ყურადღება ამ მხრივ იმას უნდა მიექცეს, რომ საზეპიროდ შესასწავლი მასალა ყოველის მხრივ შეგნებული და ახსნილი უნდა ჰქონდესთ მოწაფეებს; ამასთან აუცილებლად საჭიროა ისიც, რომ ყველა საზეპირო მასალა, თავდაპირველად მოსამზადებელ განყოფილებაში, კლასშივე უნდა ისწავლებოდეს მასწავლებლის დახმარებით.

ხსენებულის საკითხის გამოკვლევას და განმარტებას ეხებოდნენ ბევრი ძველის დროის შესანიშნავი პედაგოგი და ფილოსოფოსი. იმასვე იმეორებენ ბევრნი თანამედროვე საპედაგოგიო ასპარეზზე ცნობილნიც. რადგანაც აღძრულ საკითხის განმარტებას ჩვენ ვრცლად შევეხეთ და გვინდა ეს საკითხი ყოველის მხრივ გავარჩიოთ, ამიტომ ამ ჩვენის წერილის უკეთ დასასაბუთებლად საჭიროდ მივვაჩნია აქვე მოვიყვანოთ ზოგიერთ ცნობილ ავტორიტეტის აზრი ზეპირად სწავლების საჭიროებისა.

ნიმეიერი ამბობს: „ჩვეულებრივად რომ ვსთქვათ, შეიძლება დაუზეპირებლადაც ბევრი დაიხსოვდეს ადამიანს. ეს მტკიცდება ენის შეთვისებისგან, გამოცდილებით; მაგრამ რადგანაც შთაბეჭდილება სუსტია, ვერც ამ ნაირად შეიძინება მტკიცე და ხანგრძლივი ცოდა, გრამატიკული ფორმები, სხვა და სხვა კანონები, უცხო ენათა სიტყვები, შესანიშნავ ადამიანთა, ცხოველთა, ქალაქებისა და მდინარეების სახელები, ქრონოლოგიური ცნობები ისტორიაში ან უნდა გაზეპირებული იქმნას ისე, როგორც გამრავლების ტაბულა და ათი მცნება: თითქმის ისეთ საგნების სწავლების დროსაც, რომელიც ითხოვს მეტს აზროვნობას, მაგ. საზნეობრივო საგნები; უკეთესი იქნებოდა, რომ მცირედ განვითარებულ მოწაფეებს ბევრი ცოდნა მტკიცედ შეეძინათ მეხსიერების საშუალებით, როგორიც ბევრი საფუძვლიანი ჭეშმარიტებანი, აქსიომები, სახელმძღვანელო აზრები, ალგებრაული ფორმულები, რომ გზა-გაკვლეული ჰქონდესთ აზროვნობაში, ვიდრე მიენდოს შემთხვევას, თუ რამდენიმე ცოდნა შეინახება მეხსიერებაში გაუზეპირებლად. უამისოდ სუსტ მოაზრე მოწაფეს არაფერი დარჩება ხელის მოსაკიდი. ამას გარდა ყოველის მეცნიერისა და საქმის კაცისათვის საჭიროა იცოდეს ზეპირად რამდენიმე აზრი, რომ ყოველ ჟამს მზად იყოს მოიგონოს და წარმოსთქვას. იმისდა მიუხედავად, რომ ზეპირი სწავლა საუკეთესო დამხმარებელი საშუალებაა დედაენისა და უცხო ენათა შესასწავლად, რომ საზოგადო ცხოვრებაში ფრიად საჭიროა კაცმა თავის დროზე მოიგონოს წარჩინებული რამ, წიგნში ჩაუხედავად, საჭიროა იგი თვით სულიერ ძალთა განვითარებისათვინაც. ზეპირად და მტკიცედ შესწავლილი მასალა გაგვიტაცებს ჩვენ შესანიშნავ მოაზრეთა სამფლობელოში, იმათ გრძნობათა სამეფოში, აძლევს ჩვენ სულს შინაგან სამუშაოს, გართობას და ჩვენც გვანიჭებს დიდ სიამოვნებას, რომელიც ღირს იმ შრომად, რომელსაც ითხოვს: ამიტომ შერჩეული ადგილები კლასიკურ თხზულებიდან სხვა და სხვა ენაზე, რამდენიმე მკაფიო და მოკლე აზრები რომელსამე სიტყვაში, მსჯელობაში, ლექსებში—წარმოადგენენ საუკეთესო მასალას მეხსიერების სავარჯიშოდ.

ლ. ბოცვაძე.

(შემდეგი იქნება)

—

## საზოგადო საამხანაგო დაწესებულებანი ჩვენში.

(რკინის გზის მოსხმ. საზოგადოებ. მოთავეთა საყურადღებოდ).

დასასრული *)

მიზეზი ყოველის ამხანაგობის წინ თუ უკან მსვლელობისა არის: უპირველესად თვით საზოგადოება, როგორც მონაწილენი უმთავრესად, ისევე გარეშენი და შემდეგ გამგებელნი თავიანთის ნათელ-მირონობითა და ნათლიმამობითა.

სოფლად გამიგონია: «ფხიზელ მემამულეს მოურავიც ფხიზელი ჰყავსო და მისი მამულიც იმისთვის ჰყავისო.» ასევეა სწორედ ყოველი საქმეც. თუ საზოგადოება ფხიზლად იქცევა, გამგეობაც ფხიზლად ეკიდება მინდობილ საქმეს, რაიცა ჩვენში იშვიათია. «კარგი მეწისქვილე სათავეში წყალს არავის დაალევინებსო». ესევე ითქმის გამგებლებზედაც. თავიდანვე უნდა კარგად დაიჭირონ საქმე.

სწორედ უბედურებაა, რომ ჯერაც არა გვაქვს გათვალისწინებული, საზოგადო სავაჭროებს რა მნიშვნელობა აქვს ჩვენში და რა ლაგამია ვაჭრებისა. იმის ნაცვლად, რომ შემწეობა აღმოვუჩინოთ გამგეობას, ხელს ვუშლით და, ზოგიერთ შემთხვევაში, რაიმე ინტერესისათვის ცუდ-უბრალოდ სახელსაც ვუტეხავთ სავაჭრო სარბიელზედ და თითქმის სულაც ხელს ვუცარავთ.

საზოგადოების წევრნი (წევრნი თუ არაწევრნი), მე ყველას მოვალეთ ვრაცხ, სავაჭრო ამხანაგობა-საზოგადოებას ხელი შეუწყოს. როდესაც ჰხედავენ სისუსტეს

*) იხ. „ივერია“ № 211.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობისას: 1) აღარ უნდა დაჰფარონ, არამედ თავის დროზედვე უნდა გამააშკარავონ და ჩაავონონ შეცდომა, ანუ სხვები ამოირჩიონ; 2) აღარ უნდა წაიღონ ნისიათ იმდენი, რაც არ ეკუთვნით, ე. ი. რასაც ვერ გაუძლევბა ამხანაგობის თანხა, რომ სათავეს არ მოაკლდეს და ბორბლის ბრუნვას ხელი არ შეუშალოს; და თუ წაიღეს, გამგეობის სისუსტის და გულუხვობით, ისევე მოიტანონ და დავიწყებას არ მისცენ ნისია; 3) თუ რაიმე შეცდომა აღმოუჩინეს გამგეობას, საქვეყნოდ კი არ უნდა უკიჟინონ, არამედ მოელაპარაკონ, აუხსნან, უჩვენონ საშუალება, რომ შეცდომა თავიდგან აიცდინონ; 4) თუ საქონელი ისეთი არა აქვთ, რაც საჭიროა, ანუ არ უვარგათ, ქვეყანა აღარ უნდა შეჰყარონ და სახელი კი არ უნდა გაუტეხონ თავიანთ დაწესებულებას სავაჭროს სარბიელზედ, არამედ მოიშორონ ის საქონელი და ზარალი გარდაახდევინონ იმას, ვინც მიზეზი იყო ზარალისა; 5) თუ წაღებულ საქონელში რაიმე ცუდი აღმოჩნდა, ექიმს და სხვა დაწესებულებას-კი არ უნდა მიჰმართონ, არამედ უნდა გამოაცვლევინონ და გააფრთხილონ გამგეობა და მაინცა და მაინც თვით იზარალონ და მოითმინონ კრებამდე, რომ საზოგადოებამ ან სხვა ამოირჩიოს გამგებელად ან არადა სასტიკად გააფრთხილონ შემდეგისათვის *).

უფრო ჟურნალ-გაზეთობაა მოვალე ფრთხილად მოეკიდოს საამხანაგო და სავაჭრო საქმეებს. ვიდრე დაჰეშმარიტებით არ გაიგოს საქმის ვითარება, ვაგლახად არ შეეხოს, მეტადრე სამასხაროდ არ გახადოს ესა თუ ის შეცდომა, არამედ გულ-მტკივნეულობით მოეპყრას საქმეს. ეგ საქმე ხომ საზოგადო მნიშვნელობას არ არის მოკლებული და ზარალი ამხანაგობისა იგივე ზარალია თვით მთელის საზოგადოებისა. სავაჭრო ამხანაგობა თუ საზოგადოება მოცილეობს უწევს კერძო ვაჭრობას, ებრძვის იმათ თვითნებობას, სიხარბეს, თავგასულობას. ყოველივე შესუსტება ამხანაგობისა გაძლიერებაა ამხანაგობას კერძო ვაჭრობისა, წყდებოდეს პრესას. ერთმა რუსულმა გაზეთმა მეტად გაუფრთხილებლად აიგდო სასაცილოდ წელს რკინის გზის მსახურთა სავაჭრო დაწესებულება. და მერე ამით ვითომ სარგებლობა მოუტა ამხანაგობას, ჭკუა ასწავლა მის გამგებელთ, ეგ არა, მგონია. აბა, ჩაუდექით კვალში საამხანაგო სავაჭრო დაწესებულებას, ჰკიცხეთ, დასცინეთ. რა გამოვა ბოლოს? ამხანაგობა გაუქმდება რკინის გზის სავაჭრო-დაწესებულებაც, აფიცერთა საზოგადოებაცა და მაშინ ჰნახავთ, იპოვით-ღა რაიმე ღონის ძიებას, რომ ალაგმოთ ვაჭართა თავ-გასულობა?! ყოველივე სანოვაგე და საღეველი გაძვირდება, ერთი-ორად მოიმატებს ფასი და ეს ნამეტანი სულ ჩვენის კისრიდგან იქმნება ამოღებული.

ამის დასამტკიცებლად მოვიყვან მაგალითს.

სანამ სამტრედიაში რკინის გზის საზოგადოების მაღაზია იყო, ემდუროდნენ, უმცროსობა, რასაკვირველია. მოვაჭრეები საზოგადოების ჯიბრით ზოგიერთს საქონელს ნაკლებაც ჰყიდდნენ და სხვაში იგებდნენ, როგორც ჩვეულება აქვთ; და როდესაც საზოგადოებამ მოსპო იქ ვაჭრობა, ეხლა ყველანი სწუხან, ისინიც კი, რომლებიც სულაც არ სარგებლობდნენ ამ სავაჭროთი. თუ იყო მანამდის: შაქარი 15 კაპ; ეხლა 17 კაპეიკადა, ხორცი 10 კაპ; ეხლა 12 კაპ., ჩაიში თუ აძლევდნენ ნაკლებს, ეხლა მეტს აძლევენ, სანთელს თუ ჰყიდიდნენ 26 კაპ; ახლა 30 კაპ. ნაკლებ აღარ აძლევენ და სხვ.

დიდუბეში საუზმეული არ იშოვებოდა. იშოვიდი, ძვირი იყო. როცა ავდრიანი დღე იყო, ხორცს სამშაურ ნაკლებ ვერ იყიდდით და ღვინოს ხომ აბაზად ღირებულს 30 კაპ. ძლივს იშოვიდით. ახლა კი, როცა საამხანაგო ვაჭრობაც არის აქ, წარმოიდგინეთ, ზოგიერთ საქონელს კიდევაც ნაკლებ იყიდით, თუ შეგატყოთ, რომ სხვა რამესაც ჰყიდულობთ, რაშიაც მეტს გართმევთ და იმაში გამოდის. ვაჰარია, რას იზამთ? ჩვენ კი არ გვესმის და არა საზოგადო სავაჭროს მნიშვნელობა.

ევროპაში ერთად ერთი საშუალება ვაჭართა ხელიდგან დახსნისა, შეერთებული ძალაა ცნობილი, ძალა ამხანაგობა — საზოგადოებათა შედგენისა და ისე ვაჭრობისა. სწორედ ამისათვისაც ყოველ სოფელშიაც აქვთ საზოგადო სავაჭრო და ყოველი სხვა-და სხვა დასახმარებელი საზოგადოება, იქ ყოველი მცხოვრები, წევრი თუ არა წევრი, ისე უყურებს ამისთანა დაწესებას, როგორც საკუთარს საქმეს, ჩვენ-კი ორ-სამ საზოგადო დაწესებულებებისა და სავაჭროსათვის შეგვიქცევია ზურგი და, არამც თუ ვეხმარებით, ხელს ვუშლით და ძირსაც ვუთხრით, მაშინ როდესაც უნდა ვეხმარებოდეთ და მის გაფართოებას ისე უნდა ველოდოთ, როგორც სიცივეში მზის ამოსვლისა.

ს. გლახაშვილი.

*) ამ აზრს ვერ ვეთანხმებით: შინაურულად წარმართება საზოგადო საქმისა შეუძლებელია შეცდომა მით უმეტეს ბოროტ-მოქმედება უნდა გამოაშკარავდეს. რედ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

—

გაზ. „ნოვი ვეკ"-ი ამტკიცებს, რომ ინგლისის გარევა ომში აუცილებელიაო.

დადგება ესიხოლოგიური დრო ომისა და ამ დროს მოუთმენლად დაუწყებენ ლოდინს ინგლისელები, დაუწყებენ ლოდინს და გამოიყვანენ კიდეც რუსეთის საზარალოდ. ჩრდილო ამერიკის შტატები მხარს დაუჭერს და ინგლისიც საიდუმლოდ შემოუთვლის რუსეთს, მოსპე ომი და დაიწყე ზავის ჩამოგდებაზე მოლაპარაკება იაპონიასთანაო. თან ამასაც აგრძნობინებს რუსეთის მთავრობას, რაკი მოკავშირე ვარ იაპონიისა, მეტი ღონე არ არის, იძულებული ვიქნები ჩავერიო ომშიო. რასაკვირველია, ყოველივე ესე შემოთვლილი იქნება რბილად, მოქარგულის სიტყვებით, მაგრამ თან ზედ აქმნება დამატებული, რომ ბრიტანიის მთავრობამ ყოველივე ღონისძიება იხმარა, რაც კი შეეძლო, ასეთი უსიამოვნო საქმე აეცილებინა თავიდან, მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხაო. ბრიტანიის მთავრობა დაგვიწყებს თხოვნას, გამოიყვანეთ როგორმე ასეთ უხერხულ მდგომარეობიდგანაო.

გაზეთი სანუგეშოდ ამას ამბობს ბოლოს:

მაინც ხელ-ფეხი არ უნდა შევიკრათ და ვეცადნეთ ბოლომდე შევირჩინოთ თავისუფლება მოქმედებისა. არას გზით არ უნდა მივცეთ ნება არავის, არც მეგობარს და არც მტერს, ჩვენს საქმეში ჩაერიოს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 სეკდემბერი.

**ვილნო.** 10 სეკდემბერი. შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვა პრესის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით პროვინციის პრესის, მნიშვნელობის შესახებ: «მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ პრესას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, იგი დახმარებას გაუწევს მართვა-გამგეობის საქმეში მთავრობას, თუ გულწრფელად ემსახურება მცხოვრებთა ნამდვილ საჭიროებას. ერთხელ კიდევ გმადლობთ, ბატონებო, გამოთქმულ გრძნობათა. და სურვილებთათვის. მე ყოველთვის პროვინციალურის პრესის მეგობარი ვყოფილვარ, როდესაც იგი გულ ახდით, გულწრფელად გამოსთქვამს ჭეშმარიტ საჭიროებს. შემდეგშიაც ასეთივე მეგობარი ვიქნები».

**ვილნო.** 11 სეკდემბერი. მცხოვრებნი და მოხელენი დიდის ამბით გამოეთხოვნენ სასახლეში გენერალ-გუბერნატორად ნამყოფს თავ. სვიატოპოლკ-მირსკის, პარაკლისი გადაიხადა მთავარ-ეპისკოპოსმა, დიდ ძალი ხალხი შეიკრიბა. პარაკლისის შემდეგ შეიკრიბნენ სასახლის დარბაზში, სადაც მცხოვრებთა მხრივ თავადს სიტყვით მიმართა ვილნოს გუბერნატორმა. გროდნის გუბერნატორმა მაცხოვრის ხატი მიართვა. ემთხვია რა ხატს, მადლობა გადაუხადა მცხოვრებთა და მოხელეთ. —სიტყვა გუბერნატორის გრაფ პალენისა: «დიდად პატივცემულო თავადო პეტრე დიმიტრის ძევ! ამ გამოთხოვების დროს, ნება მიბოძეთ, მცხოვრებთა და მოსამსახურეთა მხრივ გამოვთქვა ის გრძნობა, რომლითაც აღსავსეა ჩემი გული. სულ ცოტა ხანია, რაც თქვენ აქ მსახურებთ, მაგრამ ეს დროც საკმაო იყო, დავმტკბარიყავი თქვენის ალერსით, თანაგრძნობით და სიყვარულით. ჩვენ ყველანი ჯერ ისევ ვგრძნობთ თქვენ მძლავრ მხნეობას, რომელმაც აყვავების გზაზე დააყენა ჩვენი კუთხე, ჩვენ ჯერ კიდევ ვგრძნობთ, თქვენ გამოცდილ ხელმძღვანელობით რა ადვილი იყო სამსახური. მცხოვრებთა თვალში თქვენ ყოველთვის მფარველი იყავით დაჩაგრულისა, თანაშემწე—გაჭირვებულისა. ყველას შემწეობას და დახმარებას უწევდით სიმტკიცესთან ერთად თქვენ ყველას უბრალოდ და სიყვარულით ეპყრობოდით. თქვენის ნათელის ჭკუით, მომხიბლველის ადამიანობით და მგრძნობიარე გულით გააერთიანეთ მცხოვრებნი და მუშაობა დააწყებინეთ ჩვენის კუთხის საკეთილოდ. ყველაფერი, დიდად პატივცემულო თავადო პეტრე დიმიტრის ძევ, სამუდამოდ დარჩება სახსოვრად. რუსეთის მბრძანებელმა მიგიწვიათ უფრო ძნელ და მძიმე სამსახურისთვის და ამ გამოთხოვების დროს მხოლოდ იმ რწმენით ვნუგეშობთ, რომ მალე მთელი რუსეთი გაგიცნობთ ისე, როგორც ჩვენ. თქვენი მძიმე შრომა მუდამ კეთილ სახსოვრად დარჩება ჩვენის სამშობლოს ისტორიაში. მთელი ჩვენი მხარე ევედრება უზენაესს: გაკურთხოთ, უფალმა, მოგანიჭოთ ხანგრძლივი ცხოვრება და გაამაგროს თქვენი ძალ-ღონე ხელმწიფისა და მთელის რუსეთის სამსახურისათვის. მიიღეთ თავადო, ჩვენი ლოცვა კურთხევა!".

12 სეკდემბერი.

**ბათუმი.** 11 სეკდემბერი. რამდენიმე დღეა, რაც მანთაშევის ქარხანა დაიკეტა და მუშაობა შესწყდა.

**ვილნო.** 10 სეკდემბერი. დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ ხელმწიფე იმპერატორის სახელობით მადლობა გამოუცხადა ყველას, ვინც ძეგლის აშენებაში ხელი შეუწყო და შინაგან საქმეთა მინისტრს 3 ათასი მანეთი გადასცა ღარიბებისათვის დასარიგებლად. მისმა უდიდებულესობამ დაათვალიერა მურაივსკის მუზეი, სახალხო ბიბლიოთეკა და სულის წმიდის მონასტერი, სადაც წმიდანების წინაშე ილოცა და მერე ოსტობრამის ღვთის მშობლის ხატთან მივიდა; აქედან «თეთრი ჯვრის» თავშესაფარში მივიდა და ასი თუმანი შესწირა თავშესაფარს. ქალაქში და იმის მიდამოებში ისეირნა და მერე ბალში ჩაი მიირთვა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის გრაფ პალენისაგან. აქვე ექვსი გუბერნიიდან თავშეყრილი თავად-აზნაურობა წარუდგა დიდ მთავარს. ჩაის შემდეგ, მინისტრთან ერთად, თავად-აზნაურობას ჩამოუარა და მოწყალედ ებაასა და მერე გაჩირაღდნებულისა და ხალხით სავსე ქუჩებით რკინის გზის სადგურისაკენ გაემგზავრა.

— გრაფ პალენის სიტყვის შემდეგ მინისტრმა ჩამოუარა ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილ წარმომადგენელთ და ყველგან მადლობას უცხადებდნენ; მინისტრიც მადლობას უცხადებდა ყველას. ჟურნ გაზეთების წარმომადგენელმა, გაზეთ «ზაპადნი ვესტნიკ»-ის რედაქტორმა, მადლობა გამოუცხადა თავადს ბეჭდვითი სიტყვისადმი თანაგრძნობისათვის და ამისათვის, რომ თავადი გონივრულად უყურებს საქმეს. ებრაელთა წარმომადგენლებმა მინისტრს ადრესი და თორას ხელთ-ნაწერი მიართვეს და ამასთანავე სამი სტიპენდიის დასაარსებელი თანხაც წარუდგინეს. ყველა გულ-წრფელად აცილებდა; ეტყობოდა, თავადს დიდი სიყვარული დაუმსახურებია მკვიდრთა შორის კლასთა განურჩევლად. ბევრს ცრემლიც მოერია თვალში.

**მოსკოვი,** 11 სეკდემბერი. ბარონმა შოდუარდმა საისტორიო მუზეის 40 ათასი ტომი წიგნი, ძვირფასი გრავიურები და საისტორიო ნივთების კოლექცია შესწირა.

**პეტერბურგი.** უმაღლესი რესკრიპტი გენერალ-ადიუტანტის გრიპენბერგის სახელობაზე: „ოსკარ ვლადიმირის ძევ! ეხლანდელი ომი იაპონიას ისეთის ძლიერებით მიჰყავს და იაპონიის მხედრობამაც ისეთი მედგრობა და შესანიშნავი თვისებანი გამოიჩინა ბრძოლაში, რომ მაიძულებს ბრძოლის ველზე შესანიშნავად გავამრავლო ჩვენი ჯარები, რათა, შეძლებისაგვარად, მოკლე ხანში ომს ბოლო მოვუღოთ ჩვენდა სასარგებლოდ. რადგან ამისათვის იმდენი ახალი ჯარი შესდგება, რომ იმის ერთ ლაშქარში დატოვება არ შეიძლება ისე, რომ ხელი არ შეუშალოს ამათ მართვა-გამგეობას, ადგილიდან გადასვლა-გადმოსვლას და ჯარების მოძრაობას, ამისათვის მე საჭიროდ ვსცანი, მანჯურიაში მომქმედი მხედრობა ორ ლაშქრად გავყო და ამათგან პირველის სარდლობა კუროპატკინის ხელში დავტოვო, თქვენ კი მეორე ლაშქრის სარდლად დაგნიშნოთ. თქვენი მამულისადმი ხან გრძლივი სამსახური, რომელიც აღნიშნულია ბრძოლაში ყოჩაღობის გამოჩენითა და ჯარის საბრძოლველად გაწრთვნაში თქვენი დიდი გამოცდილება სავსებით მარწმუნებს, რომ თქვენ, მთავარ სარდლის ხელმძღვანელობის ქვეშე, კეთილად უწინამძღვრებთ თქვენდამი რწმუნებულს მხედრობას და სასურველ ბოლომდე მიიყვანთ ამ ომში. თქვენის წინამძღვრობით ჩვენი სახელქებული მხედრობა მტერთან ბრძოლაში გამოიჩენს მხნეობასა და მედგრობის, პატიოსნებისა და სამშობლოს ღირსების დასაცველად. უფალმა გაკურთხოს ამ მაღალსა და სახელოვანს ჩემდა და რუსეთისადმი სამსახურში. დავშთები თქვენი მუდამ კეთილისა მყოფელი." ნამდვილზე, მისის დიდებულობის საკუთარის ხელით აწერია: «ნიკოლოზ». პეტერგოფი, 11 სეკდემბერს 1904 წელს

უმაღლესი ბრძანება: გვარდიის კავალერიაში მყოფი გენერალ-მაიორი დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე დაინიშნა ინჟინერთა ნაწილის გენერალ-ინსპექტორად.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, მანჯურიაში იაპონიასთან მებრძოლნი ჯარები ორ ლაშქრად გაიყოს: გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის ხელქვეით ჯარებს ეწოდოს პირველი ლაშქარი და ახლად შედგენილს, გენერალ-ადიუტანტის გრიპენბერგის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ჯარებს—მანჯურიის მეორე ლაშქარი.

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტის სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბის სახელობაზე 11 სეკდემბრიდგან: „11 სეკდემბერს არავითარი ცვლილება არ მომხდარა".

**ციფნაო,** 11 სეკდემბერი (რეიტერი). აქ მყოფი რუსები ამბობენ, რომ ამას წინად პორტ-არტურში შევიდა რამდენიმე ტრანსპორტი სურსათითა, სამკურნალო და საბრძოლველ მასალით დატვირთულიო.

**პორტ-საიდ.,** 11 სეკდემბერი (რეიტერი). კოლომბოში მიმავალ ინგლისის სავაჭრო გემს «ლოკტეი»-ზე მყოფნი ამბობენ, რომ 1 სეკდემბერს ჩვენი გემი შეაჩერა რუსის კრეისერმა «თერგ»-მა სვიმენტის კონცხის ჩრდილოეთით, 40 მილის მანძილზე. ქაღალდების გაშინჯვის შემდეგ გემს წასვლის ნება მიეცაო.

**ლასპალმასი,** 11 სეკდემბერი (ჰავასის სააგ). მიღებულ ცნობათა თანახმად რუსის კრეისერს «თერგ»-ს ნება მიეცა 3 დღეს დარჩეს ნავთსადგურში შესაკეთებლად.

**მუკდენი,** 10 სეკტემბერი (ბერლინში მიღებული ცნობა). თანდათან ირკვევა, რა გზით და როგორ მიდიან იაპონელები წინ. მიშჩენკოს რაზმზე გუშინ ხელ ახლა მიიტანეს იერიში. მუკდენში რუსები ყოველ დღე ჰაეროსტატით ადიან ჰაერში და ათვალიერებენ მიდამოებს. ჰაეროსტატს თოკი აქვს გობმული.—გუშინ თავები მოსჭრეს ხუნხუზთა 9 წინამძღოლს, დაესწრნენ რუსის სამხედრო მოხელენი.

**ჩიფუ,** 11 სეკდემბერი, (რეიტერი). დალნიიდან მოსული იაპონელები ამბობენ: ხმა დადის, იაპონელებმა ყუმბარების სროლით ძალიან დიდი ვნება მიაყენეს პორტ-არტურსაო. ყუმბარებს ისროდნენ 6, 7, 8 და 9 სეკდემბერს. 6 სეკდემბერს სროლა დაიწყო დილის 3 საათზე და ერთის საათის შემდეგ მოისპო, რომ გათენებისას ხელ-ახლა დაწყებულიყო. იაპონელები ისროდნენ იმ დიდ ზარბაზნებიდანაც, რომელიც ეხლახან მიიტანეს. ეს დიდი ზარბაზნები წუთში 2 ყუმბარას ისროდნენ. ამ სროლისაგან დალნიიში ფანჯრის მინები ზანზარებდა. ცხარე სროლამ გასტანა 7 და 8 სეკდემბერს, ხოლო 9 სეკდემბერს ცოტა შესუსტდა. პორტ-არტურის მახლობლად მდებარე სოფლების ჩინელნი ამოწმებენ ამ ამბავს და უმატებენ, რომ გუშინ დილის 10-დან ნაშუადღევის 5 საათამდე გვესმოდა ზარბაზნების სროლის ხმა ზღვაში, მიაოდაოს კუნძულების პირდაპირაო.

**ტოკიო.** მთავრობა არაფერს აცხადებს პორტ-არტურის ამბების შესახებ. ამბობენ მხოლოდ, რომ პორტ-არტურთან დიდი სისხლის ღვრა იყოვო. ერთი აფიცერი, ბრძოლის ველიდან მოსული, ამბობს, რომ იაპონელებს მოუკლეს და დაუჭრეს 30 ათასი კაციო.

**კიევი.** საერობო მეურნეობის საგუბერნიო კომიტეტს აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას, რომ სესხად მიეცეს კიევის გუბერნიის დასახლევე თანხიდან 300 ათასი მან. ეს ფული უნდა მოხმარდეს ერობის მიერ გამოწვეულ საჭიროებას, სახელდობრ: 100 ათასი მან.—კიევის გუბერნიის ქვრივებისა და ობლების შესაწევად, 100 ათასი მან.—დასახიჩრებულთ, 100 ათასი მან.—ომში დაღუპულთა ობლების აღსაზრდელად.

**ტოკიო,** 10 სეკდემბერი. თუმცა ამ ბოლოს დროს იაპონელებმა პორტ-არტურთან რამდენჯერმე გაიმარჯვეს, მაგრამ მაინც არა სჯერათ, რომ ციხე მალე დამორჩილდეთ. საზოგადოდ პორტ-არტურის შესახებ აზრი შეიცვალეს და ბედს დამორჩილდნენ. ამბობენ, ნოემბრისათვის სტესსელს სამხედრო მასალა შემოაკლდება და მხოლოდ მაშინ მოხდება იერიში, შეიძლება, რაიმე ბედნიერ შემთხვევის მეოხებით ამაზე ადრეკ მოხდეს იერიშის მოტანაო.

**ხარბინი.** 10 სეკდემბერს. ჩვენს ჯარში ცვლილება და ბრძოლა არ მომხდარა.

**ოდესა.** ოლქის ჯართა უფროსის წინადადებით, ოდესის გუბერნიის ქალაქებმა და საზოგადო დაწესებულებებმა თანხმობა განაცხადეს, შეადგინონ განსაკუთრებული ფონდი იმ ფულით, რომლითაც პატივი უნდა ეცათ და სადილები გაემართათ ომში მიმავალ ჯარისათვის, ფონდიდან შემწეობა უნდა აღმოეჩინოთ ავადმყოფ და დაჭრილ მეომრებს. სადილების ნაცვლად გაცილების დროს ილოცვენ და ხატებს მიართმევენ.

**ლიაოიანი,** 11 სეკდემბერი. იაპონიის ჯარის მთავარ სადგომიდგან იუწყებიან, რომ მდინარე ხუნის ორივე ნაპირი უჭირავთ რუსის კავალერიასა და არტილერიას, რომელთაც ქვეითა ჯარი ეხმარებაო. რუსის ცხენოსანთა დიდი რაზმი გზაზეა მუკდენსა და ბენსიხუს შუა. ყინვები დაიჭირა. ცოტა თოვლიც მოვიდა.

**პორტ-საიდი,** 11 სეკდემბერი. (რეიტერი). მოვიდნენ «პეტერბურგ»-ი და «სმოლენსკ»-ი. ამ გემებზე სამხედრო დროშებია ამართულა და არი ზარბაზნები და აპარატები უმავთულო ტელეგრაფისა. ნახშირი და სურსათი გემებს ჯერ არ შეუკვეთნიათ. ამ რუსის გემებს იმდენი სურსათი და ნახშირი მიეცემა, რამდენიც საჭიროა რუსის უმახლობელესს ნავსადგურამდის.

**მუკდენი,** 11 სეკდემბერი. იუწყებიან რომ პირველად მტერთან შეტაკება მოუხდებათ მეენდორფისა (პირველი კორპუსი.) და ციმბირის მე-6 კორპუსებსაო. ეს კორპუსები მდ. ხუნთან არიან. მუკდენის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ გორაკები გამაგრებულია მჩხვლეტავ მავთულებით და მგლის ორმოებით. გენერალის ბილდერლინგის კორპუსი ეცდება იაპონელთა მოგერებას ამ ადგილიდან.

**ვაშინგტონი.** (რეიტერი). რუზველტმა მიიღო პარლამენტის გარეშე კავშირის დეპუტაცია, რომელმაც წარუდგინა იმის კავშირისაგან შემუშავებული რეზოლიუცია. რუზველტმა უპასუხა, რომ უნდა მიწვეულ იქმნას მეორე კონფერენცია ჰააგასაო. პრეზიდენტმა წარმოსთქვა, რომ ამისგამო მიჰმართავს სახელმწიფოებს, რათა მოწვეულ იქმნას კონფერენცია. «ჩვენი აზრია,—სთქვა პრეზიდენტმა,—რომ ჰააგაში დაწყებული საქმე დამთავრდესო».

**ხარბინი,** 11 სეკდემბერი. როგორც ვიცით, 30 ხუნხუზი თავდაესხა საზღვარის დარაჯებს სოფ. სუტალიაძთან. ერთი ჯარის-კაცი დასჭრეს. ბრბოს მდევარი გამოუყენეს.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უდიდებულესობის სახელზე 11 სეკდემბერის თარიღით: «11 სეკდემბერს ცვლილება არა ყოფილა რა. ამ რამდენიმე დღის უკან უცებ ცივი დარი დაიჭირა. გუშინდლიდან ისევ სითბო დაიჭირა, ჯარის მდგომარეობა სანიტარულად კარგია. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას.»

**ვილნო.** შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვა: «მე მოხარული ვარ, რომ ეკატერინოსლავის გუბერნიასა და ჩრდილო-დასავლეთ მხარეში სამსახურმა შემაძლებინა, გავაცნობდი ებრაელთა ყოფამდგომარეობასა, ამიტომ ამ ჟამად მე შემეძლება უფრო კარგად შევხედო იმათ საქმესა, რომ ნდობით უმზირონ მთავრობის ზრუნვას იმაზე. რაც შეეხება მართლმყო-

ფელობას თქვენდამი, დღეიდან მე თვით ვიდგები სიმართლის წყაროსთან-ხელმწიფე-იმპერატორთან, და ამიტომ ამ მხრივ დამშვიდებულნი იყავით. სიმართლეს თქვენ ყოველთვის ეღირსებით».

**ნეაპოლი.** (სტეფანეს სააგ.). ვეზუვი ბობოქრობს. დიდს სიმაღლეზე ისვრის ცეცხლსა. რეინის გზაზე შეჩერდა მიმოსვლა. ხალხს აღელვება არ ეტყობა.

**გომელი.** ებრაელთა შარშანდელ უწესოების საქმის განხილვა, დანიშნული 11 ოქტომბრისათვის, ერთს თვეს გასტანს. ბრალდებული 80 კაცია, მათ შორის ქრისტეანე 44 და ებრაელი 36 მოწმენი 900 კაცია, 474 ბრალდებულთა მხრივ, ხოლო დანარჩენი დამცველთა მხრივ.

**პორტ-საიდი.** «სმოლენსკსა» და «პეტერბურგს» ნება მიეცათ დაიტვირთონ ქვა-ნახშირი, პირველს 350 ტონი, ხოლო მეორეს—100 ტონი. კრეისერთა კომანდირებმა განაცხადეს, რომ ლიბავას მივდივართო.

**მადრიდი.** სათარეშო გემი «თერგი» წავიდა ლასპალმასიდან ჩრდილოეთად, რაკი გაიგო, რომ ინგლისის გემი «კირკუალი» ვიგოდან გამოსულაო. როგორც ხმა ისმის, ინგლისის გემზე სამხედრო კონტრაბანდაა, იაპონიაში მისატანიო

13 სეკდემბერი

**ჩიფუ,** 12 სეკდემბერი. (რეიტერ. პორტ-არტურთან ბრძოლა დაიწყო 6 სეკდემბერს. იაპონელებმა აიღეს რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი სიმაგრე და რუსის დიდი ფორტები საშიშ მდგომარეობაში არიან ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთის მხრივ. ჩინელების სიტყვით, ამ ბრძოლაში იაპონელებმა 3,000 კაცი დაჰკარგეს. რუსების ცნობებით კი იაპონელები 9,000 კაცს დაჰკარგავდნენ. უმეტესი მნიშვნელობა კუროპატკინის ფორტს აქვს, რადგან ის წყაროს დასაცველად არის აგებული, საიდგანაც ქალაქს წყალი მიჰქონდა. ხანმოკლე სიწყნარის შემდეგ, ჯარი და მცხოვრებლები ზარბაზნების გრიალმა გამოაღვიძა. სროლა ასტეხეს დასავლეთიდგან, იტშანის, ერლუშანისა და ძინგუანშანის მხარეს. სროლა იერიშს მოასწავებდა, რომლითაც იაპონელებმა სამი ახალი სიმაგრე აიღეს. ამას გარდა აიღეს ექვსი სხვა მცირე ფორტი შუშიანსა და ერლუნშანს შუა. მთელი დღე და ღამეს 7 სეკდემბრამდე სროლა არ შეწყვეტილა. ყუმბარები ისეთ ადგილებიდგან მოდიოდა, სადაც ზარბაზნები არ ეგულებოდათ. ეტყობა იაპონელებმა ახალს ადგილს დააყენეს დიდი ზარბაზნები. 7 სეკდემბერს შუადღისას იაპონელების მარჯვენა ფრთამ წინ წაიწია. პატარა ფორტებმა შუშიანის სამხრეთად, სადაც მცირე რაზმი იგდა, წინააღმდეგობა ვერ გაუწია. კუროპატკინის ფორტი პირველადაც სუსტად ისროდა და ბოლოს სულ ჩაყუჩდა. იაპონელებმა იერიში მიიტანეს და ცხარე ბრძოლის შემდეგ აიღეს. ამ ფორტის აღების შემდეგ ერლუშანიც საშიშ მდგომარეობაშია, როგორც ამ მხრივ, ისე პალიჯუანიდგან. ნაშუადღევის 5 საათს იაპონელებმა მეორე ხარისხის ფორტი აიღეს, რომელსაც იტშანი დაჰყურებს.

**პეტერბურგი.** გენერალ-ლეიტენანტ სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბთან 12 სეკდემბრიდგან 1904 წ.: „მტრის სადარაჯო რაზმები ამ დღეებში კაუტულინის უღელტეხილს უახლოვდებოდა, მაგრამ ვერ აიღეს, რადგან ჩვენი მოწინავე რაზმები მტკიცედ დაუხვდნენ. მტერი ჯერ შეჩერებულია. ყოველ დღე მოწინავე რაზმებს შეტაკება მოსდით.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

10 სეკდემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,83 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | 45,92½ |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | 37,32½ |
| ლონდონში ჩეკები . . . . . | 94,55 |
| ბერლინში ,, . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . ,, . . . . . . | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . | 91¾ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 88⅝ მშ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 384 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 300¼ ნ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 254 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | 85 წვ. გაყ. |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . | 89¼ წვ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 86¾ წვ. გაყ. |

---

## სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი.** ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ. —9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი,** ალექსანდრე გიორგის ძე. 10 საათ.—11½ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ. —7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი,** ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი**, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი,** მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს. – 7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი,** იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—11½ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვას ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი,** ნიკოლოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—11½ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს. —7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი,** მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს. – 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი,** ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი,** ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 86 ს.— საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11.

**ხატისოვი,** ნიკოლოზ დავითისძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს. –6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შახ-აზიზოვი,** არტაშეს ივანეს ძე. დილით 10 –12 ს., საღამოთი 7½ – 8½ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

**შჩერბინინა,** ანნა ივანეს ასული. დილით 10 12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 4—6 ს სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

---

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო,**—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

# განცხადებანი


ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურ ას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარე განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.






მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდონპრინი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0 6—12)

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ ის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია **1847** წელს

| | | |
|---|---|---|
| მარაგადი | თანხა . . . . | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო | თანხ . . . . | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ორხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა უოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთ ამა თუ იმ ნაწილისა, გემია, აარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის ნადეჟდას„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, გაონოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)



ვერცხლისა



ოქროსა



ტფილ. გამოფენა.




ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

ა. ა. თუთაევისა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ხაირს ფერს ზეთით კაილისებს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცნობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; წინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგას მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მჯავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაუთმობ პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადგილო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რ. დგანაც საღებავ ბი ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღლის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—19)

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**



სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან

მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბულდავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა. ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 პრობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭიროა რ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიპიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—3)


Дозволено цензурою Тифлисъ 13 сентября, 1904 г.

Тип Е. И Хеладзе Русск. базаръ, домъ арм. семинарій